ოქმი:**ო37. 37252672**

თარიღი:**24/09/2025**

ოქმი N 20

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2025 წელი, 24
სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

10:00- 10:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალითეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, დ. მჟავანაძე, ლ. ბიგვავა,

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 7 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 23 სექტემბრის N19 საოქმო გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი : დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის 2025 წლის 23 სექტემბრის N 19 ოქმში შეტანილ იქნას ცვლილება-კერძოდ ამოღებულ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგიდან, (N2 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 26.19.15.178) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და N 12 ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საკითხშები) შესატანი ცვლილებების გამო.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი